დმანისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 100 08
22/12/2016

"დმანისის მუნიციპალიტეტის ა.ი.პ. ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" რეგისტრაციის შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2009 წლის 24 თებერვლის №79 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დმანისის მუნიციპალიტეტის ა.ი.პ. ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის რეგისტრაციის შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2009 წლის 24 თებერვლის №79 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და დებულება ჩამოყალიბდეს ახალი თანდართული რედაქციით.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

ლერი ბერუაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის"

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ა(ა)იპ **,,დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"** (შემდგომში ,,ცენტრი'') არის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის შექმნის მიზანია მუნიციპალიტეტში ეპიდზედამხედველობისა და ეპიდსიტუაციის მართვა, პრევენციული და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების გატარება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური ცენტრისათვის მინიჭებული სხვა ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელება.

2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონით, ,,ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" და "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, აგრეთვე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებებით, სსიპ ,,ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული ცენტრის'' რეკომენდაციებითა და ამ დებულებით.

3. ცენტრის კომპეტენცია, სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ცენტრის დებულებით, რომელსაც დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარდგინებით ამტკიცებს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

4. ცენტრი ანგარიშვალდებულია დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებლის წინაშე.

5. ცენტრს აქვს მრგვალი ბეჭედი მუნიციპალიტეტის გერბის გამოსახულებით და სახელწოდების აღნიშვნით.

6. ცენტრის იურიდიული მისამართია: ქ. დმანისი, წმინდა ნინოს ქ. 39; ელექტრონული ფოსტა Dmanisimphc@gmail.com

მუხლი 2. ცენტრის უფლებამოსილებები და მოვალეობები

1. ცენტრის უფლებამოსილებები განისაზღვრება ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ'' საქართველოს კანონის 36-ე მუხლის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში დელეგირებული უფლებამოსილებების შესაბამისად. სახელდობრ:

ა) გადამდები დაავადებების გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება იმ ცხოველების მიმართ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოების ჯანმრთელობას;

ბ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა;

გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზების ხელშეწყობა;

დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა;

ვ) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის;

ზ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას;

თ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა.

2. ცენტრის ექსკლუზიური უფლებამოსილებებია:

ა) მუნიციპალიტეტში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება, შემუშვება, განხორციელება და ამის თაობაზე მოსახლეობის ინფორმირება;

ბ) მუნიციპალიტეტის სპეციფიკური პირობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის მიზნით სათანადო პროგრამების შემუშავება, რომლის ხარჯები და დაფინანსების წესი განეკუთვნება მიზნობრივ პროგრამულ დაფინანსებას.

3. ცენტრი ვალდებულია:

ა) სამოქმედო ტერიტორიაზე თვალყური ადევნოს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და ცალკეული მოქალაქეების მიერ ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესრულებას; საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს ოფიციალური შეტყობინობების მიწოდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის;

ბ) კვებითი მოშხამვების, სასმელი წყლითა და საკვებით გამოწვეული ეპიდაფეთქებათა კვლევების ხელშეწყობა;

გ) ჯანსაღი ცხოვრების წესის, ჯანსაღი უნარ-ჩვევების დამკვიდრებისა და ჯანმრთელობის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება სამოქმედო ტერიტორიაზე პირველადი ჯანდაცვის სამსახურებთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და საქმიანობის ორგანიზაცია

1. ცენტრის სტრუქტურას და საშტატო განრიგს დირექტორის წარდგინებით და გამგებელთან შეთანხმებით ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

2. ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

3. ცენტრის საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ცენტრის დირექტორი.

4. პროგრამულ ღონისძიებებში მონაწილე სპეციალისტებს შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებით თანამდებობაზე ნიშნავს ცენტრის დირექტორი.

5. ცენტრის დირექტორი:

ა) ღებულობს გადაწყვეტილებებს ცენტრის საქმიანობის სფეროსათვის დებულებით მიკუთვნებული საკითხების თაობაზე;

ბ) მოქმედებს ცენტრის სახელით, წარმოადგენს ცენტრს სხვადასხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობისას;

გ) განსაზღვრავს მუნიციპალურ პროგრამულ ღონისძიებებში მონაწილე შრომითი რესურსის ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას;

დ) დადგენილი წესით შეაქვს წინადადებები თვითმმართველობის ორგანოებში გადაწყვეტილების მისაღებად საკითხებზე, რომლებიც განეკუთვნება ცენტრის კომპეტენციის სფეროს;

ე) წელიწადში ორჯერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს და შეთანხმებისამებრ ყოველთვიურად დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს წარუდგენს ცენტრის მიერ გაწეული სამუშაოების ანგარიშს დადგენილი წესით;

ვ) იღებს გადაწყვეტილებებს ცენტრისათვის გამოყოფილ საბიუჯეტო პროგრამული და სხვა ხელშეკრულებებით (დელეგირებული უფლებამოსილებები) განსაზღვრული სახსრების მიზნობრივი გამოყენების თაობაზე, პასუხს აგებს ამ სახსრების მიზანმიმართულად გამოყენებაზე;

ზ) დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებელს დადგენილი წესით წარუდგენს ოპერატიულ ინფორმაციას ეპიდსიტუაციის შესახებ;

თ) პასუხისმგებელია ცენტრის კომპეტენციის სფეროში შემავალ საკითხებზე, სახელმწიფოში მოქმედი საკანონმდებლო აქტების, თვითმმართველობის ორგანოების სამართლებრივი აქტების მოთხოვნების დაცვაზე, აგრეთვე მის მიერ გამოცემული ბრძანების კანონიერებასა და მიზანშეწონილობაზე;

ი) დაფინანსების ფარგლებში (მათ შორის სახელშეკრულებო პირობებით) ვალდებულია უზრუნველყოს ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და განვითარება, მომუშავეთა მატერიალური სტიმულირება და სოციალური დაცვა კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საჭიროების შემთხვევაში დკსჯდ წარმომადგენლებისათვის სამუშაო პირობების შექმნა, მუშაობის ხელშეწყობა;

კ) ადმინისტრაციული აქტით ამტკიცებს ცენტრის შრომის შინაგანაწესს, თანამშრომელთა საქმიანობის აღწერილობას და აცნობს მას თანამშრომლებს.

6. ცენტრი სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან აფორმებს ხელშეკრულებას დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში პროგრამული ღონისძიებების განსახორციელებლად.

მუხლი 4. დაფინანსება

1. ცენტრის შემოსავლების წყარო არის დამტკიცებული მუნიციპალური პროგრამული ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები, დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად ცენტრალური ტრანსფერით მიღებული თანხები და დკსჯდ ეროვნულ ცენტრთან ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხები;

2. ცენტრის ფინანსური რესურსები გამოიყენება დელეგირებული და მუნიციპალური პროგრამული ღონისძიებების, სამსახურის ფუნქციებისა და ამოცანების განხორციელებისათვის, მატერიალური სტიმულირების უზრუნველსაყოფად;

3. ცენტრის მიერ მოწვეული სპეციალისტების შრომის ანაზღაურება ხორციელდება სახელშეკრულებო პირობებით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

4. ცენტრს დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გაფორმებული აქვს ხელშეკრულება დკსჯდეც-თან, რომლის თანხები განიკარგება ხელშეკრულების პირობებით; ანგარიშგება ხდება დადგენილი წესით და დადგენილი ფორმებით, რომელიც ხელშეკრულების ნაწილია.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

ცენტრის რეორგანიზაცია, მისი საქმიანობის შეწყვეტა ან ლიკვიდაცია ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.